

## შვეულად

**1.** ადამიანთა შორის კომუნიკაციის საშუალება. **2.** ისტორიული მხარე და ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. **3.** რომაულ მითოლოგიაში ჭექა-ქუხილის და ელვის ღმერთი. **5.** დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი. **7.** გარკვეული მოვლენის, პროცესისა და მისთ. განვითარების, ხარისხის მაჩვენებელი. **9.** წარმოების ან ბიზნესის რომელიმე სფეროში წარმოებისა და კაპიტალის თავმოყრა ერთი ორგანიზაციის ან ერთი ადამიანის ხელში მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. **10.** მრავალწლოვანი მცენარე, რომელიც გამოიყენება ჩანთების, ჭილობისა და მისთ. მოსაქსოვად ან ნაგებობების გადასახურად. **11.** მამათა მონასტრის წინამძღვარი ან მღვდელი კათოლიკურ ეკლესიაში. **12.** ნაგებობის სვეტებზე დაყრდნობილი კონუსის ან ნახევარსფეროს ფორმის მაღალი თაღი. **13.** უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება მრავალი ქვეყნის არმიაში. **14.** ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. **15.** ერთი სიდიდის, მდგომარეობის, ხარისხის, მნიშვნელობის, შესაძლებლობების ქონა. **17.** წყლის წისქვილის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ფართო, ბრტყელი მრგვალი ქვა, რომელიც აქუცმაცებს მარცვლეულს. **18.** რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა. **22.** სახელმწიფო ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. **25.** წინასწარ მომზადებული ქმედება სამხედრო და სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების დასანგრევად, მწყობრიდან გამოსაყვანად. **27.** დედამიწის ყველაზე ვრცელი ნაწილი, როგორც ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის, ისე მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით. **29.** ძველი ქართული სახლის, დარბაზის მთავარი ბოძი. **33.** ძალიან ღარიბი, არაფრის მქონე. **34.** ბერძნული მითოლოგიით ღვინისა და ლხინის ღმერთი. **38.** გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობა, რომელთაგანაც შედგება მასალის, ნაკეთობის დამუშავების პროცესი. **39.** მარცვლეული კულტურა, რომლის ფქვილისგან აცხობენ პურს. **40.** საგნის შემადგენელი ნაწილი. **41.** მხატვრული ნაწარმოების ან მისი რომელიმე ნაწილის ჩანახატი, წინასწარი მონახაზი. **44.** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის შემადგენლობასა და მისი მოძრაობის კანონზომიერებას. **47.** (ძველი) დაწესებულების ან ობიექტის შეიარაღებული მცველი. **48.** მეურნეობის დარგი – წიაღისეულის ან ნედლეულის გადამუშავება, წარმოება. **49.** ქრისტიანული ღვდელთმსახურება, რომელიც ეკლესიაში სრულდება. **51.** კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში. **53.** ობიექტურად არსებული კანონზომიერებებისა და პირობების უგულებელმყოფელი თვითნებური გადაწყვეტილება. **57.** ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო დაწესებულება. **58.** მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუსლიმებს მოუწოდებენ სალოცავად. **60.** ეტიკეტი; საქონელზე, პროდუქტზე მიმაგრე-